

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო  
უნივერსიტეტის რექტორის

**ბრძანება № 01-01/23**

თბილისი

“ 20 “ აპრილი 2018 წ.

*აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ:*

*„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მოწვეული სპეციალისტისა და მასწავლებლის არჩევის წესის 2 მუხლის, 1 პუნქტის, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე*

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. 2018 წლის 20 აპრილს გამოცხადდეს ღია კონკურსი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის ასოცირებული პროფესორის 4 (ოთხი) წლის ვადით დასაკავებლად.
2. კონკურსის მონაწილეების საბუთების მიღება იწარმოოს 2018 წლის 21 მაისიდან 2018 წლის 29 მაისის ჩათვლით. ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 16 საათამდე. კონკურსი ჩატარდება 2018 წლის 05 ივნისს. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში შედეგების გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში (06, 07, 08 ივნისი). კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2018 წლის 11 ივნისს.
3. კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში არჩეული იქნება 4 აკადემიური პერსონალი - 4 ასოცირებული პროფესორი.

## **ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი** **ბიზნესის მართვის კათედრა**

1 ასოცირებული პროფესორი

### **ჟურნალისტიკის კათედრა**

1 ასოცირებული პროფესორი

### **საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა**

1 ასოცირებული პროფესორი

### **ინფორმატიკის კათედრა**

1 ასოცირებული პროფესორი

**ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:**

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- მოტივაცია, დასაბუთება ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე, Sylfaen – 12, 1,5 ინტერვალით);
- იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში; საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია.

**არსებობის შემთხვევაში კონკურსსანტმა შეიძლება წარმოადგინოს:**

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- უცხო ენების ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

**4. ყველა კონკურსსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:**

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- ავტობიოგრაფია (CV)
- საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ასლი;
- ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)
- ცნობა სამსახურიდან შრომის სტაჟის ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან

5. მამაკაცებმა 27 წლამდე უნდა წარმოადგინონ სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი.
6. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას და საქართველოს პერიოდულ პრესაში.
7. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გააცნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

რექტორი

გიორგი მათიაშვილი